სიჩუმის რეზოლუცია - აფხაზეთი

თანამედროვე ფოტოხელოვნებაში მიტოვებული ადგილების თემა ძალიან პოპულარულია. „არქიტექტურის ფოტოგრაფის“ სახელით ცნობილი ფრანგი ფოტოხელოვანი, ორელიენ ვილეტი (Aurelien Villette) დედამიწის გარშემო მოგზაურობისას 2016 წელს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ოკუპირებულ აფხაზეთში შეჩერდა. მისი ფოტოკამერის ობიექტივში ერთდროულად მოხვდა მე-20 საუკუნის რამდენიმე შეჩერებული ათწლეული – 50-იანები, 60 -იანები, 70-იანები... 90-იან წლებში წარმოქმნილმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა კი ოდესღაც ეს ულამაზესი და სიცოცხლით სავსე ადგილი, ახლა თითქოსდა აჩრდილების თავშესაფრად აქცია და ორელიენ ვილეტის ფოტოსერიის შთაგონება გახდა.

ფოტოხელოვანი სრულიად განსხვავებული რაკურსით, უაღრესად ემოციურად გადმოსცემს ამ ადგილებში დასადგურებულ ნოსტალგიას, სიჩუმეს, მარტოობას. შეიძლება ითქვას, რომ ის გატაცებულიც კია მიტოვებული და დანგრეული სანატორიუმების, სასტუმროების, სახლების, ეზოების გადაღებით. მისი თვალი ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს ადამიანს... სიჩუმე, სიცარიელე, რომელსაც ამ ოდესღაც ულამაზეს ადგილებში დაუბუდებია, გვაჩვენებს, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ამ დიდ ნაწილში თითქოს ცივილიზაციები შეეჯახნენ ერთმანეთს. მომხიბლავი არქიტექტურის შენობებში არსად არიან ადამიანები, მათი ადგილი სარეველებს და მტვერს უკავია, კულტურის ევოლუცია გაველურების მიმართულებით გარდასახულა, ეს არის ევოლუცია რეზოლუციის გარეშე, სავსე სიცარიელით, სევდით, სიჩუმით. ...და ამ ქაოსურ სიჩუმეში ავტორი მისთვის დამახასიათებელი ლაკონიზმით სიმეტრიული ფორმების ძიებაშია.
27 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით ფონდი არტექო (ხელმძღვანელი დალი უბილავა – დე გრააფი) მის ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან ერთად საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში მართავს ორელიენ ვილეტის გამოფენას „სიჩუმის რეზოლუცია-აფხაზეთი“. გამოფენის გახსნის დღეს, 25 წლის წინ, დაახლოებით 250 000 ადამიანმა იძულებით დატოვა აფხაზეთი. ქართველ პუბლიკას აფხაზეთი ახსოვს, როგორც ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე, სადაც ხალხი, ყველა სეზონზე, დასასვენებლად, პოზიტიური ენერგიის მისაღებად დადიოდა. ორელიენ ვილეტი პუბლიკას საშუალებას აძლევს თვალი გადაავლოს მონატრებულ ადგილებს. ფრანგი ფოტოხელოვანი და მისი ობიექტივი ამ შემთხვევაში შუამავალია სიცოცხლით სავსე წარსულის მოგონებებსა და სევდიან, ჩუმ დღევანდელობას შორის, მონატრებასა და უძლურებას შორის, წარსულსა და დღევანდელობას შორის და ამასთანავე პუბლიკას განაწყობს კიდევ ერთხელ ღრმად დაფიქრებისთვის, ერთმანეთის მიტევებისთვის, მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის, მონატრებული ურთიერთობებისა და ისევ აღმშენებლობისთვის.

სად: საქართველოს ეროვნული მუზეუმი,
თბილისი, რუსთაველის გამზირი 3

როდის: 27 სექტემბერი-7ოქტომბერი 2018,
გამოფენის გახსნის ცერემონია – 18:00

Aurelien Villette

RESOLUTION OF SILENCE – ABKHAZIA

Abandonned places are a very popular subject in modern photography. In 2016 the French artist Aurélien Villette, an architectural photographer, stopped on the eastern shore of the Black Sea, in occupied Abkhazia. The lens of his camera caught several frozen decades of 20th century at once - the 50's, 60's, 70's… The armed conflict of the 1990's turned this once beautiful and vivid place into a sort of ghost shelter, and also a source of inspiration for Aurélien Villette's photo series.

The artist expresses nostalgia, silence, and loneliness settled there from a different and very emotional point of view. He is struck by abandoned and destroyed castles, sanatoriums, houses, and gardens. His eye is looking for humans, but can't find one. The emptiness nested in these once beautiful places shows us that during the last hundred years, in this large region of Western Georgia, civilizations seemed to clash with each other. In these buildings, with their charming architecture, people are nowhere to be seen. In their place are weeds and dust, a cultural evolution heading towards wilderness, an evolution without resolution, full of emptiness, sadness and silence. In this chaotic silence the artist seeks symmetrical forms in his typical, laconically way.

From 27 September to 7 October the ArtEcho Foundation (directed by Dali Ubilava – de Graaf), together with its Georgian and foreign partners, is organizing an exhibition of Aurelien Villette's "Resolution of Silence - Abkhazia" at the Georgian National Museum. The exhibition opens on the 25th anniversary of the flight of 250 000 people from Abkhazia. The Georgian public remembers Abkhazia as one of the most beautiful places, where people traveled each season in order to charge themselves with positive energy. Aurélien Villette gives them a chance to see that native environment. The French artist and his lens act in this case as mediator between vivid memories of the past and the sad, silent present, and as a guide connecting past with present. He also creates a space to think, forgive each other, live together peacefully, and contemplate missed relationships and rebuilding.

WHERE: Georgian National Museum,
3 Rustaveli Avenue, Tbilisi

WHEN: 27 September-7 October, 2018.
Opening ceremony at 18:00

Art ECHO STICHTING WWW.ARTECHO.NL

Ambassade de France en Géorgie

თბილისის მერია